დანართი VIII

სარკინიგზო საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის მენეჯერების მიერ სააგენტოსთვის წარსადგენი უსაფრთხოების მაჩვენებლები

1. სერიოზული სარკინიგზო შემთხვევა, რომელშიც მონაწილეობს, სულ მცირე, ერთი სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება გადაადგილებისას, რომლის შედეგადაც დაიღუპა თუნდაც ერთი ადამიანი, ან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო ხუთმა ან ხუთზე მეტმა ადამიანმა, ან მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა მოძრავ შემადგენლობას, ლიანდაგებს, სხვა მოწყობილობებს ან გარემოს:

1.1. მატარებლის შეჯახება სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებასთან;

1.2. მატარებლის შეჯახება დაბრკოლებასთან გაბარიტის ფარგლებში;

1.3. მატარებლის რელსიდან აცდენა;

1.4. სარკინიგზო შემთხვევა სარკინიგზო გადასასვლელზე;

1.5. სარკინიგზო შემთხვევა, რომელიც შეემთხვა ადამიანებს და რომელშიც მონაწილეობს მოძრავი შემადგენლობა გადაადგილებისას;

1.6. ხანძარი მოძრავ შემადგენლობაში.

1.7. სხვა სარკინიგზო შემთხვევა ანალოგიური შედეგით. მათ შორის:

1.7.1. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის შეჯახება (გარდა მატარებლისა) სხვა სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებასთან;

1.7.2. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის შეჯახება (გარდა მატარებლისა) დაბრკოლებასთან გაბარიტის ფარგლებში;

1.7.3. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის (გარდა მატარებლისა) რელსიდან აცდენა.

2. სარკინიგზო შემთხვევა, რომელშიც მონაწილეობს, სულ მცირე, ერთი სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალება გადაადგილებისას და რომელმაც გამოიწვია ზიანი, თუ ეს არ არის სერიოზული სარკინიგზო შემთხვევა:

2.1. მატარებლის შეჯახება სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებასთან;

2.2. მატარებლის შეჯახება დაბრკოლებასთან გაბარიტის ფარგლებში;

2.3. მატარებლის რელსიდან აცდენა;

2.4. სარკინიგზო შემთხვევა სარკინიგზო გადასასვლელზე;

2.5. სარკინიგზო შემთხვევა, რომელიც შეემთხვა ადამიანებს და რომელშიც მონაწილეობს მოძრავი შემადგენლობა გადაადგილებისას;

2.6. ხანძარი მოძრავ შემადგენლობაში.

2.7. სხვა სარკინიგზო შემთხვევა ანალოგიური შედეგით. მათ შორის:

2.7.1. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის შეჯახება (გარდა მატარებლისა) სხვა სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებასთან;

2.7.2. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის შეჯახება (გარდა მატარებლისა) დაბრკოლებასთან გაბარიტის ფარგლებში;

2.7.3. სარკინიგზო მოძრავი შემადგენლობის (გარდა მატარებლისა) რელსიდან აცდენა.

3. პირველი და მე-2 პუნქტით აღწერილი სარკინიგზო შემთხვევების შედეგად სერიოზულად დაშავებული ან გარდაცვლილი პირების რაოდენობა, მათ შორის:

3.1. მგზავრი;

3.2. დასაქმებული პირი ან კონტრაქტორი;

3.3. სარკინიგზო გადასასვლელით მოსარგებლე;

3.4. დამრღვევი;

3.5. ბაქანზე მყოფი სხვა პირი;

3.6. ბაქანზე არმყოფი სხვა პირი.

4. სახიფათო ტვირთებთან დაკავშირებული სარკინიგზო შემთხვევა ან ინციდენტი, რომელიც ექვემდებარება შეტყობინებას სახიფათო ტვირთის რკინიგზით გადაზიდვის წესის მიხედვით;

4.1. სარკინიგზო შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია სახიფათო ტვირთების გადამზიდველ, სულ მცირე, ერთ სარკინიგზო სატრანსპორტო საშუალებასთან;

4.2. ასეთი სარკინიგზო შემთხვევების რაოდენობა, როდესაც შემთხვევის შედეგად ხდება სახიფათო ტვირთების გამოთავისუფლება.

5. ინციდენტები, რომელიც არ კვალიფიცირდება სარკინიგზო შემთხვევად ან სერიოზულ სარკინიგზო შემთხვევად, მაგრამ გავლენას ახდენს სარკინიგზო მოძრაობის უსაფრთხოებაზე (თითოეული ინციდენტის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მათ შორის რაოდენობა, რომელმაც გამოიწვია სერიოზული სარკინიგზო ან სარკინიგზო შემთხვევა):

5.1. რელსის ტეხა;

5.2. ლიანდაგის დეფორმაცია და სისწორის სხვაგვარი დარღვევა;

5.3. მცდარი სიგნალის გადაცემა;

5.4. ამკრძალავი სიგნალის გავლა, სახიფათო მონაკვეთზე გასვლით;

5.5. ამკრძალავი სიგნალის გავლა, სახიფათო მონაკვეთზე გასვლის გარეშე;

5.6. ექსპლუატაციაში მყოფი მოძრავი შემადგენლობის თვლის ტეხა;

5.7. ექსპლუატაციაში მყოფი მოძრავი შემადგენლობის ღერძის ტეხა;

5.8. სალიანდაგო შუქნიშანზე გაჩერების ბრძანებაზე გავლას, როდესაც არ ფუნქციონირებს მატარებლების დაცვის სისტემა;

5.9. სალიანდაგო შუქნიშანზე გაჩერების ბრძანებაზე გავლას, როდესაც ფუნქციონირებს მატარებლების დაცვის სისტემა;

5.10. იმ მონაკვეთის მიღმა გასვლას, საიდანაც აკრძალულია გასვლა დადგენილი ნებართვის გარეშე, ან რომელზეც გაცემულია რეგულაციებით განსაზღვრული სიტყვიერი ან წერილობითი ნებართვა;

5.11. გაჩერების მანიშნებელი სიგნალების ან ხელის სიგნალების გავლას;

5.12. მოძრავი შემადგენლობის (სატრანსპორტო საშუალების) თვითნებური გადაადგილება წევის ერთეულის ან ბორტზე მომსახურე ეკიპაჟის გარეშე;

5.13. სხვა.

6. ინფრასტრუქტურის ტექნიკურ უსაფრთხოებასა და მის დანერგვასთან დაკავშირებული მაჩვენებლები:

6.1. ხაზ-კილომეტრი (რკინიგზის ხაზების საექსპლუატაციო სიგრძე, კმ);

6.2. რკინიგზის ლიანდაგის გაშლილი სიგრძე, კმ;

6.3. ლიანდაგ-კილომეტრი მთავარი ლიანდაგებისა და სადგურის იმ ლიანდაგების ჩათვლით, რომელიც გამოიყენება სამატარებლო მუშაობისათვის;

6.4. ექსპლუატირებული ლიანდაგების სიგრძე (კმ), რომლებიც აღჭურვილია მატარებლების დაცვის სისტემებით;

6.5. მატარებლის გარბენი (მატარებელ-კმ) სულ, აგრეთვე მათ შორის სამგზავრო, სატვირთო და სამეურნეო მოძრაობის სახეობების მიხედვით;

6.6. მატარებლის გარბენი (მატარებელ-კმ) იმ მატარებლებისათვის, რომლებიც იყენებენ მატარებლის დაცვის საბორტო სისტემებს;

6.7. მგზავრთბრუნვა (მგზავრი-კმ);

6.8. ტვირთბრუნვა ბრუტო (ტონა-კმ ბრუტო);

6.9. ტვირთბრუნვა სატარიფო (ტონა-კმ ნეტო).

6.10. არსებული სარკინიგზო გადასასვლელები შემდეგი მონაცემების [1] მითითებით:

6.10.1. გადასასვლელის ადგილმდებარეობა (გადასარბენი/სადგური კმ, პკ+მ);

6.10.2. გადასასვლელის სახეობა[1] (დაცული/დაუცველი);

6.10.3. გადაკვეთილი ლიანდაგების რაოდენობა;

6.10.4. გადასასვლელის სახეობა ადგილმდებარეობის მიხედვით[1] (საერთო/არასაერთო სარგებლობის). საერთო სარგებლობის შემთხვევაში გადამკვეთი გზების სახეობის მითითებით;

6.10.5. სარკინიგზო გადასასვლელის კატეგორია[1];

6.10.6. შლაგბაუმების არსებობა და მათი სახეობა[1];

6.10.7. გადასასვლელი სიგნალიზაციის არსებობა და მისი სახეობა[1];

6.10.8. გადასასვლელზე განათების არსებობა;

6.10.9. ფენილის ტიპი გადასასვლელზე (ლიანდაგზე) და მასთან მისასვლელებზე.

---

[1] როგორც ეს განმარტებულია მოქმედი სარკინიგზო გადასასვლელების მოწყობისა და მომსახურების ინსტრუქციით.